

**ჯანმრთელობის ხელშეწყობა
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის მიზანია მოსახლეობის განათლება და ცნობიერების ამაღლება, ჯანმრთელობის ხელშეწყობი გარემოს შექმნა.

პროგრამა მოიცავს:

- თამბაქოსათვის თავის დანებების მსურველთათვის „ცხელი ხაზის“(116001) მეშვეობით სატელეფონო კონსულტაციებს, მ.შ. თამბაქოსათვის თავის დანებების ფსიქოლოგიურ კონსულტაციას, ინფორმაციას მედიკამენტოზური მკურნალობის სერვისებისა და საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ;
- COVID-19-ის პირობებში კრიზისულ ფსიქოლოგიურ დახმარებას, სატელეფონო ფსიქოლოგიური მომსახურებით.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს, სამიზნე დაწესებულებების (ტერიტორიის) დათვალიერებას (თამბაქოს ნამწვის, ფერფლის, მწვეელობის პროცესის ან კვამლის აღმოჩენის მიზნით), სადაც კანონის შესაბამისად აკრძალულია მოწევა, თამბაქოს ნაწარმის ვაჭრობის ქსელის მონიტორინგს, მოწევის აკრძალვის მონიტორინგს ტრანსპორტში (საქალაქო და საქალაქთაშორისო, მ.შ. რკინიგზა), რეკლამის მონიტორინგის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტი) და სხვა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05